

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

2024 წლის _____ ივნისი; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N1-ში, თამარ მეფის გამზირი N5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N1-ში, თამარ მეფის გამზირი N5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის N27 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 03/06/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016641) და დადგენილების მუხლი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N1-ში, თამარ მეფის გამზირი N5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.30.39.004; 05.30.39.016) მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისათვის დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N1-ში, თამარ მეფის გამზირი N5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების მიღების მიზანია „ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N1-ში, თამარ მეფის გამზირი N5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების მიღება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 31 მაისს მიღებული იქნა დადგენილება N27 „ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N1-ში, თამარ მეფის გამზირი N5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“; დადგენილების I მუხლში დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა; კერძოდ; ნაცვლად, „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა“ უნდა მიეთითოს „მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა“.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N1-ში, თამარ მეფის გამზირი N5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების მიღება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი

გიორგი წანაწყენიშვილი